დონეცკი. “შახტიორის” ცენტრალური სტადიონი. 8 ივლისი. 14.500 მაყურებელი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 2:1.

38–ე წთ. ცაავა, 50–ე წთ. სოკოლოვსკი, 89–ე წთ. სიმონოვი.

“შახტიორი”: ელინსკასი, პოდკიდინი, სოპკო, სიმონოვი, რადენკო, რუდაკოვი, სიმენკო, სოკოლოვსკი, ბროზოვი, პეტროვი, გრაჩოვი.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მიქაბერიძე, ბარათაშვილი, მახარაძე, სულაქველიძე, გოგრიჭიანი, ცაავა, შენგელია.

38–ე წთ. ცაავა, 50–ე წთ. სოკოლოვსკი, 89–ე წთ. სიმონოვი.

გოგრიჭიანის ნაცვლად – კაკილაშვილი, 53–ე წთ. აკიმენკოს ნაცვლად – კრავჩენკო, 72–ე წთ. რადენკოს ნაცვლად – დიგჩენკო, შენგელიას ნაცვლად – მესხი.

კარში დარტყმა – 12:14 (10:6), ზუსტი დარტყმა – 3:6 (2:2), საჯარიმო მოედნიდან – 5:7 (3:3).

კუთხური – 10:5 (4:1).

დაჯარიმდნენ დონეცკელები 17 (9), თბილისელები 13 (11).

მსაჯი: ალექსეი სპირინი (მოსკოვი).

დუბლიორები 4:0.

სველ მინდორზე თამაშს თავისი სპეციფიკა აქვს და ეს ყველაზე უკეთ თავად ფეხბურთელებს ესმით. გაუთავებელი წვიმით გაჟღენთილ მინდორს მასპინძლები უკეთ შეეგუვნენ და თავიდან უფრო ხშირად უტევდნენ მეტოქის კარს. თუმცა მათი ტაქტიკა საკმაოდ ერთფეროვანი იყო. როგორც კი საამისო შესაძლებლობა მიეცემოდათ, დონეცკელები შორი მანძილიდანაც არ ერიდებოდნენ კარში დარტყმას. საკმარისია ითქვას, რომ პირველი 15 წუთის განმავლობაში “შახტიორის” ფეხბურთელებმა ხუთჯერ სცადეს ბედი და თავიანთი შეტევები მხოლოდ მას შემდეგ გადაასხვაფერეს, რაც ასეთი ტაქტიკის უნაყოფობაში დარწმუნდნენ. თბილისელთა კონტრშეტევები უფრო სახიფათო იყო. მათგან ორს გამოვყოფ: ჩივაძე–გოგრიჭიანი–ჩივაძე–ცაავას ლამაზი კომბინაცია “შახტიორის” მცველებმა უვნებელყვეს, ხოლო შენგელიას გარღვევის შემდეგ ბურთი ოდნავ ასცდა ელინსკასის კარს (თბილისელთა თავდამსხმელს ზუსტი პასი მიაწოდა ჩივაძემ). ეს ორივე მომენტი პირველ 10 წუთზე მოდის. ცოტა ხნის შემდეგ შენგელიას კიდევ ერთხელ შეეძლო თავის გამოჩენა – მიქაბერიძის კარგი გადაცემის შემდეგ მან ვერ მოახერხა კარში დარტყმა. თავის მხრივ ელინსკასის აქტიურობის შედეგად გაბელიას კარიც ორჯერ გადაურჩა ხიფათს.

ანგარიში 38–ე წუთზე გაიხსნა. ჩივაძე ბურთიანად წავიდა წინ, გრძელი პასით შეტევის აქცენტი გადაიტანა მარცხენა ფლანგზე, სადაც ბურთი ცაავამ მიიღო, საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა და მარჯვენა ფეხით ძლიერად დაარტყა. ბურთი მეკარის წინ მიწაზე დაეცა და ბადეში გაეხვია – 1:0. მეორე ტაიმში თამაში კიდევ უფრო გართულდა. შესვენების დროს წამოსულმა კოკისპირულმა წვიმამ კიდევ უფრო დაასველა მინდორი. დონეცკელები მთელი გუნდით იერიშზე გადავიდნენ. ზედიზედ სამი კუთხური მოაწოდეს სტუმართა კართან. შემდეგ კი ანგარიშიც გაათანაბრეს. გრაჩოვმა მარცხენა ფლანგზე კარგად აუარა გვერდი ბარათაშვილს და შეიჭრა საჯარიმოში, სადაც იგი კაკილაშვილმა წააქცია. სოკოლოვსკის 11–მეტრიანი დარტყმა ძლიერი და ზუსტი გამოდგა – 1:1. ამის შემდეგ უპირატესობას

საფუძვლიანად დაეუფლნენ დინამოელები. მათ ეტყობა, მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ნავსი გაეტეხათ და ორი ქულა მოეპოვებინათ.

ორჯერ, 70–ე და 78–ე წუთებზე ისინი ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან. ჯერ მახარაძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა შენგელია, რომლის დარტყმულ ბურთს ელინსკასი თითის წვერებით შეეხო, მერე კი ბურთი ძელს მოხვდა. ამის შემდეგ ულამაზესი გარღვევა განახორციელა მესხმა, რომლის დარტყმა ისევ მეკარემ მოიგერია. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც ფეხბურთში არცთუ იშვიათად ხდება – უტევდა ერთი გუნდი, წარმატებას კი მეორემ მიაღწია. თამაშის დამთავრებას ერთი წუთი აკლდა, როცა გრაჩოვის ჩამოწოდებული კუთხური კარგად გამოიყენა სიმონოვმა.

წაგების მიუხედავად, თბილისელები ამ შეხვედრაში ნაკლებად იმსახურებენ კრიტიკას, ვიდრე წინა წაგებულ მატჩებში, რადგან, მათ თამაშში ამჯერად აშკარად დიდი მონდომება და გამარჯვების სურვილი ჩანდა.

დავით კაკაბაძე (ტელეფონით “ლელოს”, სპეც. კორ.). დონეცკი.
“ლელო”, 9 ივლისი, 1985 წ.